ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2050212

ნომერი: AR1331631

თარიღი : 03.08.2015

გაცემის თარიღი : 04.08.2015

გაცნობის თარიღი : 04.08.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროსადგური ,,ახმეტელის თეატრი" , მიმდებარედ , ნაკვეთი 16/090 / ქალაქი თბილისი , მეტროსადგური ,,ახმეტელის თეატრი" , მიმდებარედ , ნაკვეთი N307 / ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ "ახმეტელის თეატრი"-ს მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გრიგოლი მოთიაშვილი პ/ნ 01001007274
- ქ. თბილისი მეტრო ახმეტელის მიმდ. ტერიტორია

ორგანიზაცია:

- შპს სალხინო 93 კოდი: 209437643

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 27.05.2015წ. №1918493 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 03/08/2015 წ. #AR1331631 განაცხადით მომართა გრიგოლი მოთიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 27.05.2015წ. №1918493 ბრძანებაში ცვლილების შეტანა მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 27.05.2015წ. №1918493 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, მეტროს სადგურ ,,ახმეტელის თეატრი"–ს მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს ,,სალხინო–93"–ს და ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა (ნაკვ#01.11.12.016.127) მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 27 მაისიდან 2016 წლის 27 თებერვლის ჩათვლით.

განმცხადებელი უთითებს, რომ 27.05.2015წ. №1918493 ბრძანებაში არასწორად დაფიქსირდა ცალკეული ფართების მაჩვენებლები, კერძოდ, საერთო ფართობი 17470.3 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 17481,95 კვ.მ.–ს, კომერციული ფართობი 8346.77 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 11154,63 კვ.მ.–ს, ხოლო დამხმარე ფართობი 8264.52 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 5468,31 კვ.მ.–ს. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს 27.05.2015წ. №1918493 ბრძანებაში შესაბამისი ცვლილების შეტანას.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად, სამსახურმა დაადგინა, რომ გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ გეგმა–ნახაზებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებულ იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გაცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 27.05.2015წ. №1918493 ბრძანებაში და საერთო ფართობად მიეთითოს 17481,95 კვ.მ, კომერციულ ფართობად – 11154,63 კვ.მ, ხოლო დამხმარე ფართობად მიეთითოს 5468,31 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 27.05.2015წ. №1918493 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციას დაემატოს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმა–ნახაზები.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 27.05.2015წ. №1918493 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.